დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
2017 წლის 1 სექტემბრის N8 სხდომაზე,
ცვლილებები შევიდა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 17 თებერვლის N2 სხდომაზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობისა და
მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი

1. ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებთან სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების დადგენისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების პრინციპებს.*(ცვლილება 17.02.2020)*

2. უნივერსიტეტის მიერ აღიარებას ექვემდებარება საქართველოში არსებული სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების, იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. უცხოეთში მიღებული განათლების, ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების, ასევე, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების განათლების აღიარება, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი კვალიფიკაციის დადასტურებას, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 98/ნ ბრძანების შესაბამისად.

4. აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების (მათ შორის - ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების) აღიარება შესაძლებელია ამავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის, ხოლო დიპლომირებული სპეციალისტის (პროფესიული უმაღლესი განათლების) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება შესაძლებელია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.*(ცვლილება 17.02.2020)*

5. ამ წესით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების აღიარება ეფუძნება მის შესაბამისობას უნივერსიტეტის იმ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმთან, რომლის მიზნებისთვისაც ხდება კურსის/კომპონენტის გავლის შედეგად მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენა.

6. მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური და კურსის/კომპონენტის მოცულობისა და შეფასების შესაბამისობა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS).

7. თუ სტუდენტის მიერ გავლილი კურსის/კომპონენტის მიზნები და სწავლის შედეგები თავსებადია უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში არსებული კურსის/კომპონენტის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან, ხდება მისი აღიარება.

8. აღიარებას ექვემდებარება ასევე სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი ისეთი კურსის/კომპონენტის კრედიტები, რომლის ეკვივალენტი არ არის შემოთავაზებული უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მაგრამ კურსის/კომპონენტის მიზნები და სწავლის შედეგები თავსებადია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან.

9. კურსის/კომპონენტის აღიარება ხდება მისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე. სილაბუსის არარსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება კურსის/კომპონენტის სახელწოდება, მოცულობა, თემატიკა და სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს კურსის/კომპონენტის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებზე.

ანალიზისთვის არასაკმარისი ინფორმაციის არსებობისას, ფაკულტეტი/სკოლა უფლებამოსილია, სტუდენტს ჩაუტაროს გამოცდა/გასაუბრება და ამ გზით დაადგინოს კურსით/კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თავსებადობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

9[1]. აღიარებას არ ექვემდებარება კვლევითი კომპონენტისა და ასისტირების კომპონენტის კრედიტები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას შესაბამისი დასკვნის საფუძველზე იღებს მე-18 პუნქტით განსაზღვრული აღიარების კომისია.*(დამატება 17.02.2020)*

10. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობა აღემატება უნივერსიტეტის პროგრამის კურიკულუმში არსებული, შესაბამისი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობას, ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი.

11. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო კურიკულუმში არსებული, შესაბამისი კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობაზე, გადაწყვეტილება შესაბამისობის შესახებ მიიღება მათი შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე.

12. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კურსის/კომპონენტის აღიარება ხდება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტს უღიარდება იმდენი კრედიტი, რამდენსაც ითვალისწინებს მის მიერ გავლილი კურსი/კომპონენტი.

13. თუ კურსი/კომპონენტი არ არის ECTS-ით გაანგარიშებული, მისი მოცულობის გამოთვლა ხდება შესაბამისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. სილაბუსის არარსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება კურსის/კომპონენტის მოცულობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, სასწავლო მასალის მოცულობა, კურსის ტიპი და ა. შ.).

14. ერთი და იმავე კურსის/კომპონენტის არაერთჯერადი შეფასების არსებობის შემთხვევაში, გავლილ კურსს/კომპონენტს ენიჭება კრედიტების ჯამური რაოდენობა, ხოლო მისი შეფასებისას გამოითვლება შეფასებების საშუალო არითმეტიკული (მაგ. თუ ერთ კურსს სტუდენტი სწავლობდა სამი სემესტრის მანძილზე, თითოეულ სემესტრში მიღებული კრედიტების რაოდენობა ჯამდება, ხოლო კურსის საბოლოო შეფასებისთვის გამოითვლება სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკული).

15. 5 ქულიანი შეფასების შემთხვევაში, შეფასების გადაყვანა ხდება 100 ქულიან სისტემაზე მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით (მაგ., 5 = 100; 4 = 90; 3=70). იგივე წესი მოქმედებს ე. წ. დიფერენცირებული ჩათვლის შემთხვევაში. არადიფერენცირებული ჩათვლის აღიარება ხდება, ასევე, მაქსიმალური ქულის მინიჭებით (ჩათვლა = 100).

16. ეს წესი ვრცელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებზეც/კურდამთავრებულებზეც, რომელთა რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.*(ცვლილება 17.02.2020)*

17. უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მსურველის მიერ წარმოსადგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი დგინდება უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი მობილობის პერიოდისათვის გამოცემული სამართლებრივი აქტით. მობილობის მიზნებისთვის კრედიტების აღიარების პროცესში გამოიყენება სარეკომენდაციო ფორმა (დანართი 1), რომელიც ივსება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის მიერ და ეცნობება სტუდენტს. აღიარების დასკვნა ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლისა და სტუდენტის მიერ. *(დამატება 17.02.2020)*

18. აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით, სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს. განცხადებას თან უნდა ახლდეს დანართი 2-ით გათვალისწინებული დოკუმენტები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიმართვის საფუძველზე, დეკანი გამოსცემს აქტს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ და/ან ქმნის აღიარების კომისიას, რომლის შემადგენლობაც დგინდება ინდივიდუალურად, პროგრამის პროფილის, სპეციფიკისა და წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით.*(დამატება 17.02.2020)*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

..... ფაკულტეტი/სკოლა

20-- -20-- სასწავლო წელი

ქვემოთ მოცემული ეკვივალენტური და გასავლელი კურსების ნუსხა მომზადებულია .....უნივერსიტეტის **.....ფაკულტეტის/სკოლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის,** ..... პირადი განცხადების საფუძველზე (№ .....), რომელშიც იგი ითხოვს 20-- -20-- წლისათვის გადაყვანის წესით ჩარიცხულ იქნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **.....** **ფაკულტეტის/სკოლის საბაკალავრო პროგრამაზე -.....**

გავლილი სასწავლო კურსები	კრედიტი	შეფასება	ეკვივალენტური სასწავლო კურსები	კრედიტი	შეფასება	სასწავლო კურსის სტატუსი	გასავლელი სასწავლო კურსები	კრედიტი
						ზოგადი მოდული		
			სულ ზოგადი მოდული	**0**			**სულ ზოგადი მოდული**	
						ძირითადი აკადემიური პროგრამა		
			სულ ძირითადი აკადემიური პროგრამა	**0**			**სულ ძირითადი აკადემიური პროგრამა**	**0**
								0
			დამატებითი სპეციალობა /თავისუფალი კომპონენტი	**0**			**სულ დამატებითი სპეციალობა /თავისუფალი კომპონენტი**	**0**
			სულ აღიარებული	**0**			**სულ გასავლელი**	**0**

დასკვნა: წარმოდგენილი სასწავლო ბარათის საფუძველზე 20 -- - 20 -- სასწავლო წლის ---------- სემესტრიდან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, შესაძლებლად მიგვაჩნია, სტუდენტმა ..... სწავლა განაგრძოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ----------**ფაკულტეტის/სკოლის საბაკალავრო პროგრამაზე - ..... ,** აღიარებული **.....** კრედიტით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ----------
ფაკულტეტის/სკოლის დეკანი

---------- ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

შემსრულებელი:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

..... ფაკულტეტი/სკოლა

20-- -20-- სასწავლო წელი

ქვემოთ მოცემული ეკვივალენტური და გასავლელი კურსების ნუსხა მომზადებულია .....უნივერსიტეტის **.....ფაკულტეტის/სკოლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის,** ..... პირადი განცხადების საფუძველზე (№ .....), რომელშიც იგი ითხოვს 20-- -20-- წლისათვის გადაყვანის წესით ჩარიცხულ იქნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **.....** **ფაკულტეტის/სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე -.....**

გავლილი სასწავლო კურსები	**კრედიტი**	**შეფასება**	**ეკვივალენტური სასწავლო კურსები**	**კრედიტი**	**შეფასება**	**გასავლელი სასწავლო კურსები**	**კრედიტი**
			სულ აღიარებული			**სულ გასავლელი**	

დასკვნა: წარმოდგენილი სასწავლო ბარათის საფუძველზე 20 -- - 20-- სასწავლო წლის ---------- სემესტრიდან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, შესაძლებლად მიგვაჩნია, სტუდენტმა ..... სწავლა განაგრძოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ----------**ფაკულტეტის/სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე - ..... ,** აღიარებული **.....** კრედიტით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფაკულტეტის/სკოლის დეკანი

ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი

შემსრულებელი:

წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი:

1. განცხადება;
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ცნობა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივესიტეტში ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის შესახებ;
4. საარქივო ცნობა კვალიფიკაციის მიმნიჭებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის, სწავლის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ, შესაბამისი დოკუმენტებით, გაცემული და დამოწმებული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ (საჭიროების შემთხვევაში);
5. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა მიღებული განათლების აღიარებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);
6. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და დიპლომის დანართის/ტრანსკრიპტის (დანართის არარსებობის შემთხვევაში - სასწავლო ბარათის) შესაბამისი წესით დამოწმებული ასლი;
7. საგანმანათლებლო კომპონენტების აღწერები/სილაბუსები, გაცემული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ (საჭიროების შემთხვევაში).